# SOS ბავშვთა სოფელი საქართველო

## ჩვენს შესახებ

**SOS Children's Villages წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც მსოფლიოს 118 ქვეყანაში ჰყავს წევრი ორგანიზაცია ეროვნული ასოციაციების სახით.**

ასოციაცია “საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ მოქმედებს ფედერაციის წესდებისა და პრინციპების შესაბამისად და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში 1989 წლიდან ეწევა  საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე.

ჩვენ ვეხმარებით სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რათა მათ შეძლონ საკუთარ შვილებზე ზრუნვა. ჩვენ ვაწვდით მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს ხარისხიან ალტერნატიულ ზრუნვას.



WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

SOS CHILDREN'S VILLAGES AUSTRIA

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# ზუგდიდის ოჯახის გაძლიერების პროექტი

თბილი, მზრუნველი და მოსიყვარულე ოჯახი მნიშვნელოვანია ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქო-ემოციური და სოციალური განვითარებისთვის. თითოეული ბავშვისთვის აუცილებელია ოჯახი უზრუნველყოფდეს ისეთ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მის ჯანსაღ განვითარებას.

2017 წელს, ავსტრიის განვითარების სააგენტოს, ავსტრიის SOS ბავშვთა სოფელსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, შემუშავდა ოჯახის გაძლიერების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებას, მათი შვილების უსაფრთხო და მზრუნველ ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარების მიზნით. შესაბამისად, პროექტი სამიზნე ჯგუფის ბენეფიციარებს სთავაზობდა სხვადასხვა სახის მომსახურებას, როგორიცაა ფსიქო-სოციალური დახმარება და ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება.

ოჯახის გაძლიერების პროექტი მიზნად ისახავდა სამი წლის განმავლობაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (ქ. ზუგდიდი და სოფელი ინგირი) მცხოვრები 0-18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი 400 ბავშვისა და 160 ოჯახის მხარდაჭერასა და დახმარებას.

**2017-2019 წლებში, პროექტის მიზნების გათვალისწინებით, დახმარება გაეწია 405 ბავშვსა და მათ მშობლებს (174 ოჯახი)**

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

SOS CHILDREN'S VILLAGES AUSTRIA

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# მშობლის უნარ-ჩვევების განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა - „ძლიერი მშობლები ძლიერი ბავშვები“

ზუგდიდის ოჯახის გაძლიერების პროექტში მშობლის უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუშაობა წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. შესაბამისად, საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელმა, გერმანიის ბავშვთა დაცვის ფედერალურ ასოციაციასთან (Deutschen Kinderschutzbund Bundesverband e.V.) თანამშრომლობით შეისყიდა მშობლის უნარ-ჩვევების განვითარებაზე ფოკუსირებული საგანმანათლებლო ლიცენზირებული პროგრამა - „ძლიერი მშობლები ძლიერი ბავშვები”.

პროექტის ფარგლებში, ყველა სოციალურმა მუშაკმა და ფსიქოლოგმა გაიარა ოთხდღიანი ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდა გერმანიიდან მოწვეული სერტიფიცირებული ტრენერი.

საგანმანათლებლო კურსის დასრულების შემდგომ, თითოეულმა მონაწილემ მიიღო ლიცენზია და მათ მიენიჭათ უფლებამოსილება, სამიზნე ჯგუფის ბენეფიციარებს ჩაუტარონ მშობლის უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული ტრენინგები.

საგანმანათლებლო პროგრამა - „ძლიერი მშობლები ძლიერი ბავშვები“ ორიენტირებულია პოზიტიური და არაძალადობრივი აღზრდის მეთოდების სწავლებაზე და სრულად პასუხობს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითად პრინციპებს.

პროექტის მიმდინარეობისას სერტიფიცრებული სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის ჩართულობით, ბენეფიციარი მშობლები, მათი ცოდნისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, აქტიურად მონაწილეობდნენ აღნიშნულ საგანამანათლებლო ტრენინგებში. შესაბამისად, 2017-2019 წლებში შესაძლებელი გახდა 216 სესიის ორგანიზება, რომელსაც დაესწრო 210 მშობელი.

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION
SOS CHILDREN'S VILLAGES AUSTRIA
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# ბავშვებისა და მშობლების ფსიქოლოგიური მხარდაჭერა



სამი წლის განმავლობაში, ზუგდიდის ოჯახის გაძლიერების პროექტი ითვალისწინებდა ბენეფიციარი ბავშვებისა და მათი მშობლების  ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. ბენეფიციარებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პროცესში, ფსიქოლოგი იყენებდა ისეთ მეთოდებს, როგორიცაა არტ-თერაპია, კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია, ოჯახური თერაპია და ა.შ.

პროექტის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა ინტერვენციის საშუალებით, ფსიქოლოგიური მომსახურება მიზნად ისახავდა ბენეფიციარების რეაბილიტაციას, ფსიქოგანათლებას და სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებას. შესაბამისად, ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიის საშუალებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მშობლების სტრესთან და შფოთვასთან გამკვლავების უნარების განვითარებას; ასევე, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისა და მათი მშობლების მხარდაჭერას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბავშვებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობდა მათი თვითშეფასების ამაღლებას, ასევე, აგრესიული ქცევის პოზიტიური ქცევით ჩანაცვლებას. პროექტის ფარგლებში ბავშვებს ჩაუტარდათ არაერთი საგანმანათლებლო ტრენინგი, რომელიც ეხებოდა, როგორც ფინანსურ განათლებას (თემა - “როგორ შევძლოთ საკუთარი ფულის ეფექტურად მართვა?!“), ისე გენდერული თანასწორობის მნიშვნელობასა და კულტურული მარავალფეროვნების პატივისცემას. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარი ბავშვებისათვის შეთავაზებულმა აქტივობებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათი სოციალური უნარების განვითარებას.

**2017-2019 წლებში, ფსიქოლოგის მომსახურება მიიღო 185 ბავშვმა და 163 მშობელმა. შესაბამისად, ფსიქოლოგიური მომსახურების ფარგლებში, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, ბენეფიციარებს გაეწიათ კონსულტირება; გარდა ამისა, ჩატარდა ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, როგორც ბავშვებთან, ისე მშობლებთან.**

**რაც შეეხება ძალადობის ფაქტებს, პროექტის ფარგლებში, სამი წლის განმავლობაში გამოვლინდა ფიზიკური, ემოციური და ეკონომიკური ძალადობის 23 შემთხვევა. შესაბამისად, თითოეულ ოჯახთან წარიმართა კომპლექსური მუშაობა, როგორც სამართლებრივი, ისე მსხვერპლის რეაბილიტაციის კუთხით.**



WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

SOS CHILDREN'S VILLAGES AUSTRIA

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# თვითდახმარების ჯგუფების ორგანიზება

პროექტის ფარგლებში ბენეფიციარი მშობლები აქტიურად მონაწილეობდნენ თვითდახმარების ჯგუფების შეხვედრებში.
2017-2019 წლებში განხორციელდა 12 ჯგუფური შეხვედრა, სადაც ჩართული იყო 122 მშობელი. შესაბამისად, ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას შემდეგ საკითხებზე:

- მშობელთა ჩართულობა შვილების სასკოლო ცხოვრებაში;
- ბულინგი სკოლებში;
- ბავშვების წახალისების მეთოდები;
- ბავშვების უფლებები, ფიზიკური თუ სტრუქტურული ბარიერები;
- ძალადობა ოჯახებში და მიმართვიანობა შესაბამის უწყებებში;
- გენდერული თანასწორობა და გენდერული სტერეოტიპები.





WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

SOS CHILDREN'S VILLAGES AUSTRIA

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# სოციალურად დაუცველი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება

ზუგდიდის ოჯახის გაძლიერების პროექტის ერთ-ერთ მიზანი იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება. შესაბამისად, შესაძლებელი გახდა ბენეფიციარების დახმარება პროფესიული განათლების მიღება-გაუმჯობესებაში, სამუშაოს მოძიებაში, სოფლის მეურნეობის თემატიკაზე ტრენინგების ორგანიზებაში, სოფლის მეურნეობის განვითარებასა  და დასაქმების ხელშეწყობაში. აღნიშნულმა დახმარებამ თავის მხრივ ასევე, პოზიტიური გავლენა იქონია ბენეფიციარი ოჯახების შემოსავლის გაზრდასა და ბავშვების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

2017-2019 წლებში, პროექტის ფარგლებში, დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, 117 ბენეფიციარმა მიიღო ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაცია; თითოეულ მათგანს მიეწოდა ინფორმაცია შრომის ბაზრის მოთხოვნადი პროფესიების შესახებ, გარდა ამისა, ბენეფიციარებს ჩაუტარდათ ტრენინგები სამუშაოს ძიების ტექნიკებზე. პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა 73 ბენეფიციარის დასაქმება.

2017-2019 წლებში, პროექტის მხარდაჭერით, 61 ბენეფიციარმა სხვადასხვა მიმართულებით შეძლო პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება; გარდა ამისა,  მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ 78 ოჯახს  გაეწია დახმარება სოფლის მეურნეობის საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით. შესაბამისად, პროექტის დახმარებით, აღნიშნული ოჯახები დამოუკიდებლად ეწევიან აგრარულ საქმიანობას (მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მებოცვრეობა).

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ  2017-2019 წლებში, პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით განვითარდა ორი ჯგუფური ბიზნესი, რომელსაც თავად ბენეფიციარი ოჯახები მართავენ. ორგანიზაციის დახმარებით, ორივე ჯგუფურ ბიზნესს მიენიჭა კოოპერატივის სტატუსი, რომლის ფარგლებშიც 10 ოჯახი ეწევა მეფუტკრეობასა და შერეული ბოსტნეულის სასათბურე მეურნეობას.

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

SOS CHILDREN'S VILLAGES AUSTRIA

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# დღის ცენტრის მომსახურება





ზუგდიდის ოჯახის გაძლიერების პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებდა 6-18 წლამდე ასაკის ბავშვთა დღის ცენტრი, რომელიც ერთდროულად მომსახურებას უწევდა 20 სოციალურად დაუცველ ბავშვს.

ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების დაცვით, ბავშვები ყოველდღიურად იღებდნენ კვებას და ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში (მათემატიკის, ინგლისურისა და დაწყებითი კლასის წრეები).

2017-2019 წლებში, დღის ცენტრის პედაგოგების დახმარებით, თითოეული ბენეფიციარისათვის შემუშავდა ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა, დღის ცენტრის ბენეფიციარი ბავშვების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით.

დღის ცენტრის ბენეფიციარი ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი იყო პროექტის ფარგლებში შექმნილი ბიბლიოთეკა, შესაბამისად, ისინი მუდმივად ეცნობოდნენ კლასგარეშე ლიტერატურას. დღის ცენტრის ფარგლებში ფუნქციონირებდა ბავშვთა კლუბიც, რომელმაც ხელი შეუწყო არაფორმალური განათლების მიღებას, გარდა ამისა, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას.

დღის ცენტრში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების (გამოფენები, ექსკურსიები, თეატრალური წარმოდგენები, კინოჩვენებები, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, ცეკვის კლასები და ა.შ.) ორგანიზებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ბავშვების შემეცნებითი უნარების განვითარებასა და მათ სოციალიზაციას.

სოციალური მუშაკებისა და პედაგოგების მხარდაჭერით ბავშვები აქტიურად მონაწილეობდნენ გარემოსდაცვით ღონისძიებებში; აწყობდნენ დასუფთავების აქციებს, ეცნობოდნენ ლიტერატურას გარემოსდაცვით თემატიკაზე, ატარებდნენ ღია გაკვეთილებს და სემინარებს, ორგანიზებას უწევდნენ გასვლით ღონისძიებებს „ეკოჰაბში“, სადაც ეკოლოგიასთან დაკავშირებულ თემებზე მიმდინარეობდა შეხვედრები შესაბამისი თვალსაჩინოებების გამოყენებით.

2017-2019 წლებში დღის ცენტრის მომსახურება მიიღო 38 ბავშვმა.



WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

SOS CHILDREN'S VILLAGES AUSTRIA

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# სახელმწიფო სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის პროფესიული გაძლიერება

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრის სოციალური მუშაკების პროფესიული გაძლიერება.

2017 წელს, ასოციაციას „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრის სპეციალისტები (სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგი) გადამზადნენ მტკიცებულებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო ლიცენზირებული პროგრამით - „ძლიერი მშობლები ძლიერი ბავშვები”. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს პოზიტიური და არაძალადობრივი აღზრდის მეთოდების მშობლებისათვის სწავლებას.

საგანმანათლებლო კურსის დასრულების შემდგომ, თითოეულმა მონაწილემ მიიღო ლიცენზია, რათა უზრუნველყოს მშობლის უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებული ტრენინგების მიწოდება მოწყვლად ოჯახებთან მუშაობის პროცესში.

2018 წელს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრის 13 სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო პროექტის ფარგლებში დამატებით ორგანიზებულ 3 სხვადასხვა ტრენინგში. თითოეული ტრენინგი ემსახურებოდა სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას და მათი კომპეტენციების გაზრდას შემდეგი მიმართულებით: ბენეფიციართა სოციალური უნარების განვითარება, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში სწორი რეაგირება და გენდერულ თანასწორობაზე მუშაობა.



WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

SOS CHILDREN'S VILLAGES AUSTRIA

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# რეგიონალური კონფერენცია

2018 წელს ჩატარდა რეგიონალური კონფერენცია, რომლის მიზანიც იყო საქართველოსა და სომხეთში არსებული ოჯახის გაძლიერების პროექტების ფარგლებში დანერგილი სხვადასხვა საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.





კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოსა და სომხეთის ოჯახის გაძლიერების პროექტის თანამშრომლებმა, ასევე პროექტის მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა, კერძოდ, ავსტრიის განვითარების სააგენტომ, ავსტრიის SOS ბავშვთა სოფლის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

რეგიონალური კონფერენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სიღარიბეში მცხოვრები მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის ოჯახების გაძლიერების პროექტის განვითარების მნიშვნელობაზე, ასევე, ჰოლისტური მიდგომების გამოყენებაზე. კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოება გაეცნო ტავუშისა და ზუგდიდის ოჯახების გაძლიერების პროექტების მიღწევებს და პრეზენტაციების დასასრულს გაიმართა დისკუსია ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მიმდინარე აქტუალური თემებთან დაკავშირებით.









WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

SOS CHILDREN'S VILLAGES AUSTRIA

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# მრგვალი მაგიდის შეხვედრები

სამი წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ იქნა 6 შეხვედრა, სადაც მონაწილეობდნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოციალური მომსახურებებისა და პროგრამების მიმწოდებელი, როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები.

აღნიშნულ შეხვედრებზე განიხილებოდა სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და არსებული პრობლემების ოპტიმალურად გადაჭრის გზები.



ნიშანდობლივია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მრგვალი მაგიდის ფორმატით ორგანიზებულმა შეხვედრებმა, რესურსების გაზიარების თვალსაზრისით პოზიტიური გავლენა იქონია უწყებათშორისი თანამშრომლობის გაძლიერებაზე.

# შემდგომი ნაბიჯები

ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ავსტრიის SOS ბავშვთა სოფლის ფინანსური მხარდაჭერით, ზუგდიდის ოჯახის გაძლიერების პროექტის II ფაზის დაწყება დაგეგმილია 2020 წელს.

ახალი პროექტი მიზნად ისახავს, სამი წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და მათი მშობლების ფსიქო-სოციალურ დახმარებასა და ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებას. სხვადასხვა მომსახურებისა და ინტერვენციის მიწოდების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გენდერული თანასწორობის საკითხებსა და ოჯახური ძალადობის პრევენციას.



WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

SOS CHILDREN'S VILLAGES AUSTRIA

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო